



## სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

წარმომადგენლობითი საბჭოს

2023 წლის 25 სექტემბრის N28 დადგენილებით

### სტრატეგიული დაგეგმარებისა და კვლევების ცენტრის დებულება

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) სტრატეგიული დაგეგმარებისა და კვლევების ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) წამოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

#### მუხლი 2. სტრატეგიული დაგეგმარებისა და კვლევების ცენტრის მიზანი და ამოცანები

1. სასწავლო უნივერსიტეტის მისიითა და სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიზნების და ამოცანების შესრულების ხელშეწყობა; სტრატეგიული დაგეგმარების მიზნებისთვის კვლევების ჩატარება;
2. სასწავლო უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის ორგანიზება, საუნივერსიტეტო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა, მათი ინფორმაციული და ორგანიზაციული მხარდაჭერა, გეგმების საბოლოო პროექტების მომზადება.
3. სასწავლო უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლების მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებსა და აქტივობებში მონაწილეობა, პარტნიორ უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან უნივერსიტეტის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება;

#### მუხლი 3. სტრუქტურა

1. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საშტატო განრიგითა და სახელფასო ფონდით გათვალისწინებულია სტრატეგიული დაგეგმარებისა და კვლევების ცენტრის უფროსი
2. ცენტრის უფროსის სამსახურში მიღება ხორციელდება შრომის კანონმდებლობისა და სასწავლო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად.



## სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

3. ცენტრი თანამშრომლობს სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიზნითა და სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და სტრატეგიულ /სამოქმედო გეგმაში გაწეული სამუშაოების შესაბამისად შესატანი ცვლილებების გასახორციელებლად შექმნილ მუდმივმოქმედ საკოორდინაციო ჯგუფებთან.

### მუხლი 4. სტრატეგიული დაგეგმარებისა და კვლევების ცენტრის ფუნქციები

1. უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე მიმდინარე, საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიის განსაზღვრისთვის წინადადებების მომზადება;
2. ადგენს სტრატეგიული გეგმის შემუშავების და შეფასების მეთოდოლოგიას. განსაზღვრავს შეფასებისათვის სათანადო ინდიკატორებს;
3. კოორდინაციას უწევს სტრატეგიული გეგმების შემუშავებას და გეგმების საბოლოო პროექტებს წარუდგენს სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიზნითა და სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და სტრატეგიულ /სამოქმედო გეგმაში გაწეული სამუშაოების შესაბამისად შესატანი ცვლილებების გასახორციელებლად შექმნილ მუდმივმოქმედ საკოორდინაციო ჯგუფებს.
4. ატარებს სწავლების, საუნივერსიტეტო რესურსებითა და სერვისებით კმაყოფილების კვლევას
5. ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევებისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მიმართულებების იდენტიფიცირება;
6. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმების შესრულებისა და შეფასების პროცესში მონაწილეობა.
7. თანამშრომლობს მართვის ორგანოებთან უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების საკითხებზე.

### მუხლი 3. ცენტრის უფროსის სამუშაო აღწერილობა

1. ცენტრის უფროსი სამსახურის ამოცანების მიზნის მისაღწევად უზრუნველყოფს :

ა) სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის (გეგმების) შემუშავების კოორდინაციას;

ბ) სასწავლო უნივერსიტეტის წინაშე არსებული ამოცანების ანალიზი და გადაჭრის გეგმების შემუშავებას;

გ) სასწავლო უნივერსიტეტის სხვადასხვა მიმართულებებით განვითარების გეგმების მომზადებას;



## სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

- დ) სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის ანალიზის და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების პროექტის წარმოდგენას;
- ვ) საზოგადოებრივი აზრის კვლევების დაგეგმვა / განხორციელებას;
- თ) შრომის ბაზარზე არსებული საფრთხეების სისტემატური შესწავლა და გამოვლენას;
- კ) სამსახურის საქმიანობის შემდგომი დაგეგმვისათვის კვლევების ჩატარებას;
- ლ) სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო უნივერსიტეტის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, სხვა უფლებამოსილების განხორციელებას.
- მ) შეიმუშავეს კითხვარებს სწავლების, საუნივერსიტეტო რესურსებითა და სერვისებით კმაყოფილებისა და სხვა მიზნობრივი კვლევების მიზნით
- ნ) ატარებს სწავლების, საუნივერსიტეტო რესურსებითა და სერვისებით კმაყოფილებისა და სხვა მიზნობრივ კვლევებს.

### **მუხლი 5. სხვა უფლება-მოვალეობანი**

- 1. სტრუქტურით გათვალისწინებული პერსონალი ვალდებულია:
  - ა) დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;
  - ბ) გაუფრთხილდეს სასწავლო უნივერსიტეტის ქონებასა და საქმიან რეპუტაციას;
  - გ) იზრუნოს დოკუმენტაციაზე (არ დაუშვას მათი დაკარგვა/დაზიანება);
  - დ) დაიცვას მის ხელთ არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია;
  - ე) დროულად მიაწოდოს რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ან სტრუქტურულ ერთეულებს მითხოვნილი ინფორმაცია;
  - ვ) სწორად და კვალიფიციურად გასცეს კონსულტაცია;
  - ზ) ჩაერთოს თანამდებობრივი პოზიციით გათვალისწინებული საქმიანობისგან განსხვავებულ სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობაში, ორგანიზაციულ ღონისძიებებში;
  - თ) შექმნას პოზიტიური გარემო, დაიცვას ეთიკის, კოლეგიალობისა და სუბორდინაციის პრინციპები;
  - ი) იზრუნოს ყოველდღიურ საქმიანობაში სასწავლო უნივერსიტეტის აქტივობებზე;





## სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

- კ) წარადგინოს დებულებით განსაზღვრული ანგარიშვალდებულების ფარგლებში ყოველთვიური, წლიური ანგარიშები, სამსახურის სამოქმედო გეგმა;
- ლ) მართვის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტური გამოყენების მიზნით ითანამშრომლოს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან დაგეგმილი კვლევების (თვითშეფასების/შეფასების/კმაყოფილების კვლევის) კითხვარის შედგენისა და კვლევების ჩატარების პროცესში;
- მ) რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;
- ნ) ითანამშრომლოს და კომპეტენციის ფარგლებში სათანადო დახმარება გაუწიოს შიდა აუდიტის სამსახურის უფროსს, შიდა აუდიტორული შემოწმების განხორციელების პროცესში, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შეფასებისას.
- ო) მონაწილეობა მიიღოს სამსახურებრივი რისკების იდენტიფიცირებაში და ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმის განხორციელებისას ითანამშრომლოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, როგორც გადამწყვეტი როლის მქონე საკვანძო ერთეულმა სასწავლო უნივერსიტეტის სიცოცხლისუნარიანობაში.
- პ) მიიღოს მონაწილეობა ბიუჯეტის ფორმირებაში თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან თანამშრომლობით. მოითხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელისგან საჭირო რესურსების გამოყოფა სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების/გაუმჯობესების მიზნით.
- ჟ) პასუხისმგებელია კანონმდებლობის დაცვით დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებაზე .

### **მუხლი 6. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

- 1.დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.
- 2.დებულება ძალაშია დამტკიცებისთანავე თუ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

